Art Foundation Anagi
TBILISI

# გარდამავალი ფრაგმენტები

# fragments of transition

AFA CURATORIAL EXHIBITION HALL




Art Foundation Anagi
TBILISI

The Anagi Art Foundation's first exhibition, "Transitional Fragments," is the result of four years of tireless work and research. The idea is based on two exhibitions held in Germany three decades ago and recounts the transitional period when Georgian contemporary art broke through the 'Iron Curtain,' presenting itself to the free world with a new aesthetic and narrative. As a result of many years of work with friends and international partners, the exhibition has returned to Georgia. This would have been impossible without the work and support of the project idea's co-author and strategic advisor, Ekaterine Enukidze. Special thanks go to the collector and great admirer of Georgian art, Françoise Friedrich, without whose support and collaboration our joint idea would not have come to fruition.

Anagi Art Foundation is a private art foundation. About seven years ago, the idea of creating a contemporary gallery was born within the Anagi company, which, through intensive collaboration with Anagi's founder Zaza Gogotishvili, gradually transformed into an initiative to establish a large-scale center of artistic attraction in the region, where a new synergy will emerge from the collaboration between business and art. Our foundation's model is unique for the region and is based on the experience of world-renowned art foundations.

The foundation aims to support and promote Georgian art, strengthen its economic potential, and create a new, research-based history, for which we will be guided by the experience of the world's leading art institutions.

Our vision entails the creation of a completely new ecosystem, where Georgian cultural heritage, modern infrastructure, and innovative curatorial practices will merge. For us, art is not just an aesthetic experience—it is a strategic resource that can become a driving vector for the country's cultural diplomacy, economic sustainability, and societal development.

In the modern world, where ideals and values are so fragile, our exhibition is an attempt to foster dialogue and build bridges.

We hope that the exhibition "Transitional Fragments," presented in our new space, will be a novelty that brings you pleasure and gives you cause for multifaceted reflection. We believe that with your support and our joint efforts, we will be able to say a new word in the Georgian art scene.

**Thea Goguadze-Apfel**
AFA Co-founder

“ხელოვნების ფონდი ანაგის” პირველი გამოფენა “გარდამავალი ფრაგმენტები” ოთხწლიანი დაუღალავი შრომისა და კვლევის შედეგია. მისი იდეა სამი ათწლეულის წინ, გერმანიაში გამართულ ორ გამოფენას ეფუძნება და იმ გარდამავალ პერიოდზე მოგვითხრობს, როდესაც ქართულმა თანამედროვე ხელოვნებამ “რკინის ფარდა” გაარღვია და თავისუფალი სამყაროს წინაშე ახალი ესთეტიკითა და სათქმელით წარდგა.

მეგობრებთან და საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად მრავალწლიანი მუშაობის შედეგად, ექსპოზიცია საქართველოში დაბრუნდა. ამ ყველაფრის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა პროექტის იდეის თანაავტორისა და სტრატეგიული მრჩევლის - ეკატერინე ენუქიძის შრომისა და მხარდაჭერის გარეშე. განსაკუთრებული მადლობა კი ეკუთვნის ქართული ხელოვნების კოლექციონერსა და დიდ თაყვანისმცემელს - ფრანსუაზ ფრიდრიხს, რომლის გულშემატკივრობისა და თანამშრომლობის გარეშეც, ჩვენი ერთობლივი იდეა ვერ განხორციელდებოდა.

“ხელოვნების ფონდი ანაგი” კერძო სახელოვნებო ფონდია. თანამედროვე გალერეის შექმნის იდეა დაახლოებით შვიდი წლის წინ, კომპანია „ანაგში“ დაიბადა. ზაზა გოგოტიშვილთან ინტენსიური თანამშრომლობით, იდეა თანდათან რეგიონში ფართომასშტაბიან სახელოვნებო მიზიდულობის ცენტრის ჩამოყალიბების ინიციატივად გარდაიქმნა, სადაც, ბიზნესისა და ხელოვნების კოლაბორაციით, ახალი სინერგია შეიქმნება. ფონდის მოდელი უნიკალურია რეგიონისათვის და მსოფლიოში სახელგანთმული ხელოვნების ფონდების გამოცდილებას ეფუძნება.

ფონდი მიზნად ისახავს ქართული ხელოვნების მხარდაჭერასა და პოპულარიზაციას, მისი ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერებასა და ახალი, კვლევაზე დაფუძნებული ისტორიის შექმნას, რისთვისაც მსოფლიოს წამყვანი სახელოვნებო ინსტიტუტების გამოცდილებით ვიხელმძღვანელებთ.

ჩვენი ჩანაფიქრი სრულიად ახალი ეკოსისტემის შექმნას ითვალისწინებს, სადაც ერთმანეთს შეერწყმის ქართული კულტურული მემკვიდრეობა, თანამედროვე ინფრასტრუქტურა და ინოვაციური კურატორული პრაქტიკა. ჩვენთვის ხელოვნება მხოლოდ ესთეტიკური გამოცდილება არ არის: ის სტრატეგიული რესურსია, რომელიც ქვეყნის კულტურული დიპლომატიის, ეკონომიკური მდგრადობისა და საზოგადოების განვითარების მამოძრავებელ ვექტორად შეიძლება იქცეს.

თანამედროვე სამყაროში, სადაც იდეალები და ღირებულებები ასეთი მყიფე გახდა, აღნიშნული ექსპოზიცია, ჩვენი მხრიდან, დიალოგისა და ხიდების მშენებლობის ერთგვარი მცდელობაა.

იმედი გვაქვს, გამოფენა “გარდამავალი ფრაგმენტები”-ს ახალი სიცოცხლე ჩვენს ახალ სივრცეში, სიამოვნებას მოგანიჭებთ და, ამავდროულად, ფიქრის საშუალებასაც მოგცემთ. გვჯერა, რომ თქვენი მხარდაჭერითა და ერთობლივი ძალისხმევით, ქართულ სახელოვნებო სივრცეში ახალი სიტყვის თქმას შევძლებთ.

**თეა გოგუაძე-აპფელ**
AFA თანადამფუძნებელი

AFA
საკურატორო დარბაზი
საგამოფენო სივრცე
კვლევაზე დაფუძნებული
თანამედროვე
ხედვებისთვის

AFA
CURATORIAL
EXHIBITION HALL
A research-based
exhibition space shaping
contemporary
perspectives

გამოფენა „**გარდამავალი ფრაგმენტები**“ წარმოადგენს ქართული თანამედროვე ხელოვნების ისტორიის გარდამავალ პერიოდს. გვიანი საბჭოთა ხანა, 1980-იანი წლების ბოლო, გარდაქმნის, ე.წ. „პერესტროიკის“, ეტაპი მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-კულტურული ცვლილებებით ხასიათდება, რომელსაც მალევე, 1990-იან წლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის რთული ვითარება ანაცვლებს.

გამოფენა, ამ პერიოდის კოლექციაზე დაყრდნობით, აერთიანებს სხვადასხვა თაობის რვა ქართველ ხელოვანს, რომელთა შემოქმედებაც იმდროინდელი სოციალურ-პოლიტიკური კრიზისის ფონზე განვითარდა. გამოფენაზე წარმოდგენილია **ლუკა ლასარეიშვილის, ალექსანდრე ბანძელაძის, ილიკო ზაუტაშვილის, კოკა რამიშვილის, მამუკა ჯაფარიძის, გია რიგვავას და გელა წულაძის** ნამუშევრები, ამასთან, **გია ეძგვერაძის** ნამუშევრების საარქივო გამოსახულება. ამ ხელოვანთა პრაქტიკა არის იმ პერიოდის რთული რეალობის ალტერნატიული ფორმით გადააზრება – კონცეპტუალური, ექსპერიმენტული მიდგომებისა თუ პოლიტიკური კომენტარის საშუალებით, ისინი ქმნიან ახალ კულტურულ ფორმაციას ისეთ პირობებში, რომელშიც სახელმწიფო სტრუქტურები სრულიად მორღვეულია.

„**გარდამავალი ფრაგმენტები**“ ახლებური ხედვით წარმოაჩენს ორ მნიშვნელოვან ისტორიულ გამოფენას – **EIN DIALOG**-ს („დიალოგი“, 1994) და **GEORGIA ON MY MIND**-ს („საქართველო ჩემს ფიქრებში“, 1990). ექსპოზიციაზე წარმოდგენილი ნამუშევრები წლების მანძილზე ინახებოდა ფრანსუაზ ფრიდრიხის კოლექციაში და საქართველოში პირველად იფინება. **ფრანსუაზ ფრიდრიხი** მნიშვნელოვანი ფიგურაა – იგი არის გერმანელი გალერისტი და კოლექციონერი, რომელიც 1990-იან წლებში ქართული თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ასპარეზზე გატანას უწყობდა ხელს და აქტიურად თანამშრომლობდა ქართველ ხელოვანებთან.

გამოფენა **GEORGIA ON MY MIND** 1990 წელს გაიმართა კიოლნში, **DuMont Kunsthalle**-ს სივრცეში, **Fridericanum** მუზეუმსა და **Documenta Kasell**-თან თანამშრომლობით. გამოფენაში მონაწილეობდნენ ხელოვანები თბილისიდან – **ლუკა ლასარეიშვილი, ილიკო ზაუტაშვილი, გია ეძგვერაძე და ალექსანდრე ბანძელაძე.** მაშინ ეს გამოფენა გასცდა მხოლოდ ქართული ხელოვნების წარდგენის ამოცანას და დღეს შეიძლება აღვიქვათ, როგორც მყიფე რეალობის პასუხად გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი, ერთგვარი პოლიტიკური და კულტურული განაცხადი. ამას ადასტურებს გამოფენის კატალოგში შესული გავლენიანი ხელოვნებათმცოდნეებისა და კრიტიკოსების წერილები, რომელთა მიხედვით, ქართული ხელოვნება გლობალურ გეოპოლიტიკურ კონტექსტში განიხილება. განსაკუთრებით აღსანიშნავია **ბორის გროისის** ტექსტი, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს ეროვნული ხელოვნების ფიქსირებულ წარმოდგენას და მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულის მხატვრულ ენას განსაზღვრავს, როგორც ადგილობრივ ავთენტურ გამომსახველობასა და ტრანსნაციონალურ კოდებს შორის განვითარებულ პრაქტიკას. ასეთი ტიპის ხელოვნება არც მთლიანად „აღმოსავლურია“ და არც ბოლომდეა შთანთქმული გლობალური ნარატივებით – ის ქმნის სივრცეს, სადაც ერთმანეთთან თანაკვეთილია ისტორიული ტრავმა და თანამედროვეობა.

კიდევ ერთი ისტორიული მნიშვნელობის გამოფენა **EIN DIALOG** გაიმართა 1994 წელს, უშუალოდ **ფრანსუაზ ფრიდრიხის** ორგანიზებით და ექვსი ქართველი ხელოვანი – **კოკა რამიშვილი, ილიკო ზაუტაშვილი, გელა წულაძე, ლუკა ლასარეიშვილი, მამუკა ჯაფარიძე, გია რიგვავა** და მათი გერმანელი კოლეგები გააერთიანა. გამოფენა, როგორც აზრთა გაზიარების პლატფორმა, ქართულ ხელოვნებას დასავლურ სახელოვნებო დისკურსთან დიალოგში წარმოადგენდა.

დღესდღეობით აღმოსავლეთ-დასავლეთის შესახებ მიმდინარე დებატები ხშირად იდეოლოგიურ დაყოფას და ბინარულ (ორმხრივ) დაპირისპირებას წარმოაჩენს, თუმცა კიდევ უფრო მეტად ჩნდება კითხვები, მათ შორის იმაზე, თუ რას ნიშნავს სინამდვილეში „გარდამავალი“ მომენტი.

ისტორიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ამ ორი გამოფენის – **EIN DIALOG** და **GEORGIA ON MY MIND** – ერთმანეთთან დაკავშირებით, ახალი გამოფენა „**გარდამავალი ფრაგმენტები**“ გვთავაზობს ისტორიის რეკონტექსტუალიზაციასა და 1990-იანი წლების ქართული ხელოვნების გაანალიზებას ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა ტრანსნაციონალური იდენტობა, კულტურული დიალოგი და ექსპერიმენტული ფორმაცია. XX სა-უკუნის 90-იანი წლების გარდამავალი პერიოდი დღეს განსაკუთრებით აქტუალურია. დღევანდელ რეალობაში რთულია განვიხილოთ გარდამავლობა, როგორც სწორხაზოვანი პროგრესი. ეს არის კულტურული იდენტობისა და მასთან დაკავშირებული სახელოვნებო გამომსახველობის ძიების უწყვეტი პროცესი.

The exhibition **“FRAGMENTS OF TRANSITION”** revisits a critical transitional period in the history of Georgian contemporary art. The late Soviet period of the 1980s, marked by the so-called Perestroika phase, was characterized by significant political and cultural transformations, soon followed by the turbulent years of Georgian independence in the 1990s—a time marked by deep socio-political crises.

The exhibition brings together eight Georgian artists of different generations whose practices emerged amid the socio-political crisis of the time, based on a collection from that period. It features works by **Luka Lasareishvili, Iliko Zautashvili, Alexander Bandzeladze, Koka Ramishvili, Mamuka Japharidze, Guela Tsuladze,** and **Gia Rigvava,** alongside archival imagery of works by **Gia Edzgveradze.** These artists’ practices offer alternative interpretations of the complex realities of the era. Through conceptual strategies, experimental approaches, and political commentary, they generate new cultural formations in a context where state structures had been fundamentally destabilised.

The works on display are being exhibited in Georgia for the first time, as they have been preserved in the collection of **Françoise Friedrich**, a key figure – German gallerist and collector – who actively supported Georgian artists and played a significant role in introducing Georgian contemporary art to the international stage in the 1990s.

**“FRAGMENTS OF TRANSITION”**reconstructs and reinterprets two important historical exhibitions – **EIN DIALOG** (1994) and **GEORGIA ON MY MIND** (1990). Many of the works on display are being exhibited in Georgia for the first time, as they have been preserved in the collection of **Françoise Friedrich**, a key figure – German gallerist and collector—who played a significant role in introducing Georgian contemporary art to the international stage in the 1990s.

In 1990, the exhibition Georgia On My Mind was held at DuMont Kunsthalle in Cologne, in collaboration with the Fridericianum Museum and documenta Kassel. Featuring four artists from Tbilisi – **Luka Lasareishvili, Iliko Zautashvili, Gia Edzgveradze, and Alexander Bandzeladze** – the show went beyond merely presenting Georgian art – it can now be understood as a significant step taken in response to a fragile reality, a form of political and cultural statement. This is evidenced by texts from influential art historians and critics included in the exhibition catalogue, which frame Georgian art within a broader geopolitical context. Notably, Boris Groys’s contribution challenged fixed notions of national art, arguing for an understanding of 1990s’ artistic practice as a negotiation between local authenticity and transnational codes—neither fully “Eastern” nor entirely subsumed by globalized art narratives, but situated in a space where historical trauma and contemporary expression intersect.

**EIN DIALOG** another historically significant exhibition was directly organized by **Francuasa Friederich** in 1994 and brought together six Georgian artists – **Akaki Ramishvili, Iliko Zautashvili, Guela Tsuladze, Luka Lasareishvili, Mamuka Japharidze, and Gia Rigvava** – alongside their German contemporaries. **EIN DIALOG** established a platform for artistic exchange.

Yet within the ongoing discourse of East and West – where ideological divisions and political narratives are often projected as fixed binaries – what does transition truly signify? By bringing together these two historical references – **EIN DIALOG** and **GEORGIA ON MY MIND** – **“FRAGMENTS OF TRANSITION”** offers a reflective analysis of Georgian art history in the 1990s, exploring themes of transnational identity, cultural dialogue, and the experimental forms that emerged in response to a shifting political and social landscape. This transitional period of the 1990s resonates with particular relevance today. The notion of transition is approached not as a linear progression but as a fragmented and ongoing reconfiguration of identity and artistic expression.

# ლუკა ლასარეიშვილი






**პასპორტი**
**PASSPORT - 1990**
აკრილი, შერეული მედია
Acrylic, mixed media
150x120cm.

# luka lasareishvili



**უსათაური**
**UNTITLED - 1999**
ტილო, შერეული მედია
Mixed media on canvas
131x97cm.

**ზვიგენი**
**SHARK - 1989**
ტილო, ზეთი.
Oil on canvas.
200x200cm.



iliko zautashvili

ილიკო ზაუტაშვილი




**LIGHT DARKNES**
**1988/89**
ზეთი, ტილო
Oil on canvas
165x140cm.




**ხაზი, როგორც სივრცე**
**SPACE AS A LINE**
**1988/89**
ზეთი, ტილო
Oil on canvas
165x255cm.



**უეცარი ვარდისფერი**
**IMMEDIATELY PINK - 1988/89**
ზეთი, ტილო
Oil on canvas
165x165cm



**უსათაურო**
**UNTITLED - 1988/89**
ზეთი, ტილო
Oil on canvas
170x170cm

**მანუსკრიპტის სიდიადე** დიპტიხი
**THE GREATNESS OF THE MANUSCRIPT - 1988-89** Diptych
ტილო, ზეთი, შერეული ტექნიკა
Oil and mixed media on canvas
164x304cm



alexandre bandzeladze
ალექსანდრე ბანძელაძე



**წითელი**
**თეთრი**
**RED WHITE**
**1989**
ზეთი, ტილო
Oil on canvas
200x290cm.



უსათაური (სახარება)

**UNTITLED ( THE GOSPEL) - 1989**

ზეთი, ტილო

Oil on canvas

200x300cm.

koka
ramishvili

კოკა
რამიშვილი



გია რიგვავა

**ჩემი ვაჟის პორტრეტი**

**PORTRAIT OF MY SON**

**1989**

ტილო, შერეული ტექნიკა

Mixed media on canvas

200x300cm.

gia rigvava



# guela tsuladze

## გელა წულაძე

**პენკისადმი პატივისცემა**
**TRIBUTE TO PENCK 1989**
ტილო, შერეული ტექნიკა
Mixed media on canvas
180 x 210cm.

# მამუკა ჯაფარიძე
# mamuka japharidze

**მიწისძვრა სომხეთში**
**EARTHQUAKE IN ARMENIA - 1989**
ზეთი, ტილო
Oil on canvas
200x320cm.



# gia edzgveradze


In der Meditation stärken wir den Willen, unterdrücken die Welt der Sinne und dringen ein in die Welt der Bedeutungen, in die Welt der Ideen.
Diese beiden Welten existieren scheinbar parallel, wie zwei Strömungen, wie zwei Existenzen, wie ein Gegenstand und sein Schatten . . .
. . . Die Welt der Sinne bricht das Schweigen und durchmißt die Größe des transzendentalen Raumes; sie erscheint vor uns in der ganzen Fülle und Farbenpracht ihrer Erscheinungsformen . . .

Wenn ich mit dem Raum arbeite, versuche ich, ihn seines größten Triumphes zu berauben: der konventionellen Dimension (welche in unserem Bewußtsein die Wahrnehmung der Welt als etwas Begrenztes organisiert).
Der Raum versucht sich stets hinter diesen konventionellen Dimensionen zu verbergen, gibt uns nicht die Möglichkeit, die Ewigkeit zu berühren, das Grenzenlose zu empfinden.
Indem man den Gegenstand bis an die Grenze der Unkenntlichkeit und somit gleichzeitig auf mehrere Bedeutungsebenen führt, ihn ganz unabhängig macht, werden die konventionellen Dimensionen zerstört, und der Eindruck des Grenzenlosen inner- und außerhalb des Objekts wird verwirklicht . . .
Die Linie entspricht dem Ursprung, verkörpert das Männliche, der Raum entspricht dem Weiblichen.
Die Linie verletzt den Raum, zerstört seine Jungfräulichkeit, formt ihn und zwingt ihn zur Existenz.

Gia Edzgveradze

28

29




*გია ეძგვერაძის ნამუშევრის შესახებ მოცემული მასალა წარმოდგენილია გამოფენის კატალოგიდან ნაბეჭდი სახით, წყარო: Georgia On My Mind, 1990

*The material on Gia Edzgveradze's work is presented in printed form from the exhibition catalogue.
Source: Georgia On My Mind, 1990.

## გია ეძგვერაძე

Art Foundation Anagi
TBILISI

ტექსტი: **მარიამ შერგელაშვილი**, ხელოვნებათმცოდნე
Text by art historian **Mariam Shergelashvili**

**იმპრესუმი:**
იდეის ავტორი და გამოფენის კურატორი: **თეა გოგუაძე-აპფელ**
სტრატეგიული მრჩეველი: **ეკა ენუქიძე**
მოწვეული მკვლევარი / გამოფენის კურატორი: **მარიამ შერგელაშვილი**
ფოტო: **გიორგი შენგელია**
რედაქტორი: **რუსუდან მარგიშვილი**
თარგმანი: **არჩილ ჩიქოვანი**
დიზაინი: **ირინა კაჭარავა – შპს iStudio**

განსაკუთრებული მადლობა: **ფრანსუაზ ფრიდრიხს**

**IMPRESSUM**
Concept and Curator: **Thea Goguadze-Apfel**
Strategic Advisor: **Eka Enukidze**
Invited Researcher / Exhibition Co-Curator: **Mariam Shergelashvili**
Photo: **Giorgi Shengelia**
Editor - **Rusudan Margishvili**
Translated by **Archil Chikovani**
Design: **Irina Kacharava, iStudio LLC**

Special thanks to **Françoise Friedrich**